

# საშობლო

**ფანი:** წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., ყოველწლიურად 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაურა. **დამბა:** ტაბით 7 მ. წლიური ხელის მომწერელნი განტვირთვასი შეუძლიათ ნაწილწლიათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილწლიათ. **განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

## ყოველდღიური საკომლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლებს სხვაზედა, ორივე ტკბილი ძმობილო, მიჩვენის ორსავე თვალზედა, როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ეს ნომერი ჩვენის ჰატარა გაზეთისა მიიღე ძღვნათ, ძვირფასო ვაჟა!

გადაიწვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ჩართველ საზოგადოებას **წ. კ. გამაგრც. საზოგადოება**. ზნაშვიდი დანიშნულია ქუთაისის საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დიღის 12 საათზე.

გადაიწვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ჩართველ საზოგადოებას **აშთ. ქალთა საზოგადოება**. ზნაშვიდი დანიშნულია ქუთაისის საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დიღის 12 საათზე.

აშთაინის ქალაქის **გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 2 აგვისტოს, საკათედრო ტაძარში გადანიღობი იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებული მგოსნის **ვაჟა-ფშაველას** (ლუკა რაზიკაშვილის) სულის მოსახსენებლად.

გადაიწვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ჩართველ საზოგადოებას **პიათურის შავი ძმის საზოგ.** ზნაშვიდი დანიშნულია ქუთაისის საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დიღის 9 საათზე.

გადაიწვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ჩართველ საზოგადოებას **საისტორიო და სიეთნოგრაფიო საზოგადოება**. ზნაშვიდი დანიშნულია ქუთ. საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დიღის 12 საათზე.

აშთაინის **გუბარნიის თავად-ახანაურთა წინამძღოლი თ. დ. ი. ნიშარაძე** პატივის ცემით აცნობებს საზოგადოებას, რომ კვირას, 2-ს მარიაშობის თვეს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში, ყოვლად-სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის გიორგისაგან, გადანიღობი იქნება წირვა და პანაშვიდი, ახლად გარდაცვალებულის მგოსნის **ვაჟა-ფშაველას**. სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება დიღის 9 საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 საათზე.

გოლდო ვალო **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს მგოსანი ჩართველ საზოგადოებას **გაზ. „სამშობლო“ რედაქცია** ზნაშვიდი დანიშნულია ქუთაისის საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დიღის 12 საათზე.

გადაიწვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ჩართველ საზოგადოებას **ვიჟილთა საზოგადოება**. ზნაშვიდი დანიშნულია ქუთაისის საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დიღის 12 საათზე.

გადაიწვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ჩართველ საზოგადოებას **ქუთ საურთიერთო ნდობის ბანკი**. ზნაშვიდი დანიშნულია ქუთ. საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დიღის 12 საათზე.

გადაიწვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ჩართველ საზოგადოებას **ქართული გიმნაზია**. ზნაშვიდი დანიშნულია ქუთაისის საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დიღის 12 საათზე.

ქუთაისის საზოგადოებასაგან **ვაჟას ხსოვნის აღსანიშნავად არჩეული კომიტეტი** უხამდ მწუხარებით აუწყებს ჩართველებს **ვაჟა-ფშაველას** უღროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 12 საათზე, საკრებულო ტაძარში.

გადაიწვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ჩართველ საზოგადოებას **მლაგიო მოქალაქეთა გამგეობა**. ზნაშვიდი დანიშნულია ქუთ. საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დიღის 12 საათზე.

ოჩენიერის განყოფილება ქ. შ. წ. კ. გაპარცელებელ საზოგადოებისა უერთებს თავის გულითად მწუხარებას მთელ საქართველოს გულის ტკივილს და ღრმა გლოვას საყვარელი მგოსნის, **ვაჟა-ფშაველას** ასე უდროოდ დაკარგვის გამო. განყოფილების თავმჯდომარე **თ. ხუციშვილი**.

გადაიწვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ჩართველ საზოგადოებას **სახალხო უნივერსიტეტი**. ზნაშვიდი დანიშნულია ქუთაისის საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დიღის 12 საათზე.

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა, ზედამხედველი კომიტეტი და მოსამსახურენი აცხადებენ, რომ გარდაცვალებულ მგოსნის **ვაჟა-ფშაველას** სულის მოსახსენებლათ კვირას, 2 აგვისტოს, დიღის 12 საათ. საკათედრო ტაძარში გადანიღობი იქნება პანაშვიდი, რისთვისაც სთხოვენ გარდაცვალებულ მგოსნის პატივისმცემელ დაესწონენ ხსენებულ პანაშვილს.

გადაიწვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ჩართველ საზოგადოებას **სახალხო უნივერსიტეტი**. ზნაშვიდი დანიშნულია ქუთაისის საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დიღის 12 საათზე.

გადაიწვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ჩართველ საზოგადოებას **დრამატიული საზ. გამგეობა**. ზნაშვიდი დანიშნულია ქუთაისის საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დიღის 12 საათზე.

დედა ირინე; მეუღლე ელისაბედ; შვილები: გრიშა, ნინუცა და ანტა; ძმები: ერმილე, ილარიონი, პორფილე, თეოდო და მიხაკო; რძლები: მკერინე, ევა მანია, ოლია და მარიაში; ძმი-შვილები: მამო, ცაბურა, ნინო, ქეთო, თამარა და დათიკო უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ 28 ივლისს, საღამოს ხუთ საათზე, ხანმოკლე ავთიმყოფობის შემდეგ გადაიცვალა სოფ. დიმიში, ძვირფასი და დაუვიწყარი **სილიგისტრო მერაბის ძე მალაქაშვილი**. პანაშვიდი ყოველ დღე დიღის 11 საათსა და საღამოს 5 საათზე. გამოხვენება მოხდება კვირას 2 მარიაშობისთვის, საკუთარი სახლიდან, სოფ. დიმიის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის სასაფლაოზე დასაკრძალავათ. 3-3-547

ქუთაისის გაზ. „სამშობლო“ ასეთ ამწუხარებით უხამდ მწუხარებას გამოსთქვამენ დიდებული მგოსნის—მთის არწივის **ვაჟა-ფშაველას** გარდაცვალების გამო.

მეუღლე მარიამი, შვილები: ტრენტი, ანდრია, ნუცა და შუშანიკა სვინიძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი მეუღლის, ხოლო მეორენი ძვირფასი მამის **ანდრია (ანდრო) ზაქარიაძის ძის ხვანიძის** გადაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 5 აგვისტოს, დიღის 10 საათზე სოფ. საყულიაში მთავარანგელოზის ეკლესიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე. 3-1

### წეს-რიგი ვაჟა-ფშაველას დაპრკალპისა.

საამაყო პოეტის ვაჟა-ფშაველას ძვირფას ცხედარს მიწას მიაბარებენ დღეს, 2 აგვისტოს, დიდუბის ბანთეონში.

ძვირფას ცხედრის დამკრძალავ კომიტეტის საღმარსულებლო ბიურომ შემდეგი დაახლოვებითი წესრიგი შემუშავა:

დღეს, 2 აგვისტოს, დიღის რვა საათზე, ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მიცვალბულის წირვა დაიწყება. წესის აგება კი დიღის თერთმეტ საათზე დაიწყება. ამ დროს ეკლესიაში მივლენ დეპუტაციები. წესის აგების შემდეგ ძვირფას ცხედარს ეკლესიიდან გამოასვენებენ საზოგადო მოღვაწენი და დაასვენებენ სამგლოვიარო ეტლზე. ამის შემდეგ პროცესია გაივლის გოლოვინის პროსპექტით, ვერის ხილით, მიხეილის პროსპექტით და მივა დიდუბის ტაძრს გალავანში, სადაც ახლად შეძენილ ბანთეონში სახელოვნის პოეტის ცხედარს მიწას მიაბარებენ.

სიტყვები წარმოთქმული იქნება მხოლოდ დამკრძალავ კომიტეტის ნებართვით. სიტყვის მიქმელმა თავისი სურვილი წინდაწინ უნდა განუცხადოს კომიტეტს. ასეთი განცხადება მიიღება 1 აგვისტომდე სადებუტატო საკრებულოში დანიშნულ კრებაზე.

გამოსვენების დროს შემდეგი წესრიგი იქნება დაცული:

- 1) დროშები, ჯვარები და ხატები,
- 2) მგალობელთა გუნდი,
- 3) მოსწავლენი,
- 4) მგალობელთა გუნდი,
- 5) დეპუტაციები,
- 6) მგალობელთა გუნდი,
- 7) გვირგვინი ქართველ ერისაგან; გვირგვინი მიაქვთ ქართველ მგოსნებს,
- 8) სამღვდლოება,
- 9) სამგლოვიარო ეტლი კუბოთი,
- 10) ეტლს მოსდევენ: პოეტის ოჯახი, ნათესავები და პატივისმცემენი.



### პროვინციული მკაცრება

ვაჟა-ფშაველასთან ერთად ჩვენგან წავიდა ადამიანი, რომლის პიროვნება მრავალჯერ ჩაფიქრებს ქართულ ლიტერატურის მკვლევარს. ვაჟა-ფშაველას არა ჰქონდა თავისი კრიტიკოსი, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ კრიტიკოსი არა ჰყავს არც ერთ ქართველ მწერალს, ვაჟა-ფშაველა მათში ყველაზედ ბედნიერი იყო, მით რომ იგი სიცოცხლოთვე ეღიბა უმადლეს ჯილდოს და მის ნიჭიერების აღიარებას საფუძვლად დაედო მძლავრი სიტყვა ილია ჭავჭავაძისი. მან პირველ მან შეამჩნია იგი. ამიტომ ვაჟა-ფშაველა დავითა ქართული ლიტერატურისა, რომელმაც კურთხევა ჰქალარა საულისგან მიიღო. ბარათაშვილი მანუდ მალა იდგა და ამას ვერ ეღიბა. იმ დროს ლიტერატურაში გრიგოლ ორბელიანი მცხოვრებდა. ამასთანავე ის იყო დიდი ბიძა ახალკაზმა ბარათაშვილისა. მისი ნიჭი სრულებით არ საჭიროებდა „ნეპოტიზმს“, მაგრამ არც ამ გარემოებამ იქონია გავლენა და მოკვდა ისე, რომ არავინ იცოდა, პოეტი იყო თუ საზნადარი, რომლის ლექსებს მაშინდელი არისტოკრატიული ახალგაზღვრები ქვიფის დროს თუ იგონებდა. მაგრამ ჰენიოს ჰაბუკის გემოვნება მალა იდგა მთელ მაშინდელ ქართულ ესთეთიკაზედ და მისმა კეთილშობილმა არსებმა ისა ჰქნა, რომ არ დანებდა არც მაშინდელ გემოვნებას, არც მაშინდელ მანერას წერისა. და თუ რაწაირი იყო ეს მანერა წერისა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურაიდან სწანს. მის—საუკეთესო ლექსებს ხშირად აწერია: „რასტის ხმაზედ“, „ჩარგას ხმაზედ“. ამ ლექსებს სალონებში არ კითხულობდნენ. მათ იგონებდნენ მხოლოდ სუფრაზედ ქართველ კოლეკტივურ თამაღის ნებართვით.

ლიტერატურული მიმართულება ვაჟა-ფშაველასი, ცოკლი მის თხუზულეობათა და ეგზოტიზმი მას ლექსისა მძღენათ ორიგინალური იყო, იმდენათ არ შეეფეროდა ქართულ ლიტერატურაში გამეფებულ ახალ გემოვნებას, რომელიც, მართალია, ბარათაშვილის დროის გემოვნებაზედ გაცილებით მალა იდგა, რომ ვაჟა-ფშაველაც, ადვილათ შესაძლებელია, შეუჩივრად დარჩენილიყო. მაგრამ „მოუხუტავი თვალი“ ილია ჭავჭავაძის იმიტომიყო მოუხუტავი, რომ არ გამოჰპაროდა არაფერი საყურადღებო, საინტერესო ჩვენის ცხოვრებისა. მან შეამჩნია ვაჟა-ფშაველა და პირველი ქვა იმ ძეგლისა, რომელსაც დღეს მას ერი უგებს-მან მიიტანა.

ეს გარემოება პატარა ღირსებისა არ არის. ქართული ლიტერატურა მცხობამეტე საუკუნისა არისტოკრატიულ ჩამომავლობისა იყო. ქართულ პარნასზედ ტრულოვანი ხალხი იხდა. ბილიკები ამ პარნასიდან მხოლოდ თვად აზნაურთა „პალატებისკენ“ მიდიოდა. ამ პალატებში კი გენერლებისა და მიიარების გვერდით, რომლებიც რუ-

სულ პაგონებს ჯერ ისევ ქართულ კაზაზედ ატარებდნენ ახალი ჯარის ხალხი სცხოვრობდა, რომლებმაც ხმალი კალამზედ გადაკვერეს. გერისთავის „ვაჟა“ მარტო მამულის გამოიჯენა არ იყო, ან ოჯახურ ხაზაქის გაყოფა. ეს იყო გამოიჯენა სფეროთა გავლენისა. ერთნი დაღესტანში წავიდნენ, მეორენი მოზღოკს. და ამ „მოზღოკელმა“ ახალი სიო შემოიტანეს საქართველოში, მაგრამ ახალი ცხოვრების შემქნელი ძველ სოციალურ კვალიტეტიდან იყვენ გამოკრილინი. არისტოკრატიზმი მათი ექვს გარეშე იყო და მტკაცე რგოლით შემოერთებენ ყველა მას, რაც კი ატარებდა ბეჭედს აღორძინებისას. ხალხიდან გამოსულებისთვის ამ წრეში მოხდომა ძნელი იყო. ძნელი იყო თვით თავდაზნაურთა ზოგიერთ წარმომადგენლისთვის, რადგანაც ჩამომავლობითი საქართველო ლაბორატორიას ჰგავდა, სადაც სისხლის სასტიკი ანალიზი ხდებოდა. დიმიტრა ყიფიანის მაგალითი პირველი და უკანასკნელი არ არის. თქმაც არ უნდა, რომ ასეთი რამ უფრო ძნელი იქნებოდა მათთვის, ვინც ხალხიდან გამოდიოდა. საჭირო იყო დიდი ტალანტი, რომ გაერღვია წრე ტკბილ მეტყველ თავადებისა და აზნაურებისა, რომლებიც კასტალიის ბინულის პირს იხდნენ და ფიქრით კი იმაზედ ფიქრობდნენ, რომ მათ სისხლში მეთური სისხლი სჩქვდა. საჭირო იყო არა მარტო დიდი ტალანტი, არამედ დიდი მფარველიც და ილია ჭავჭავაძე იყო ის მზე, რომლის სითბოზე გიშალა საუცხოვო ნიჭი ვაჟა-ფშაველასი. ისიც კი სათქმელია—ჭავჭავაძის დროის ოლიმპი უკვე ის აღარ იყო, რაც უწინ და ვაჟა-ფშაველაზედ ადრე სხვებაც იყვენ ხალხიდან გამოსულნი, რომლებმაც უკვე მოიარეს ეს არისტოკრატიული ოლიმპი.

ვაჟა-ფშაველამ უცბათ მიიღო ის ადგილი, რომელიც მას ეკუთვნოდა, მაგრამ ის ამ ადგილზედ არ დარჩენილა. იგი წავიდა თავის მშობელ მთებში და აქიდან იწყება მისი დრო და დრო გადმოფრენა ამ მთებიდან. ეს გადმოფრენები ლამაზები იყვენ, აღსავსე პოეზიით, უმწვერვალესად მაღალნი და თან თავსუფალი ყოველივე ლიტერატურული რისკისგან, რადგანაც, მიუხედავად მისი პოეზიის „უცნაურობისა“, ვერავინ ვერ გაბედავდა ეთქვა—შენ ჩამოფრდები მაგ სიმაღლიდან, რადგანაც ვნა შენი გაუგებარია ჩვენთვის, შენი ტრუბები ერთმანეთს გვანან და შენც მეტის მეტად სადა არ სება ხარო.

უკვე ჩვენი დროის და გემოვნების საუკეთესო მაჩვენებელი უნდა ჩაითვალოს, რომ სწორეთ ეს მისი ღირსებანი არ იქნენ მიჩნეულნი ნაკლათ. დი ჩვენი ხალხი ვაჟა-ფშაველას მაღლიერი უნდა იყვეს, რომ შეითვისა სამუდამო ქეშმარიტება: მშვენიერება სპარტივეში განისვენებს!

### ვაჟა-ფშაველასი

ფშაველის მთათ მოთქმა-ქვათინი დაეშვა დაბლა ბარათა, ტურფი კოლხეთის მხარეშიც გაისმა გლოვის ზარათა. ფიქრი ფიქრს გაეხმურა, ცრემლი იფეთქა ღვარათა, შავი ყორნის ფრთა დაკიდა ერმა მამულის კარათა... ერთი და უკანასკნელიც უნდა დავმარხოთ გოდებით, სამშობლოს კალთა ავაღვეთ საფლავებით და ლოდებით. ვიზედ ვუჩვენოთ მტრის ლაშქარ ამაყურ თავგამოდებით?.. ეჰ! ამ მუხანათ სოფელში კიდევ რას მოველოდებით?.. სტარიან მთანი მაღალნი, ხმა დაქუხს კლით-კიდვა, მტერთან ურჩ დაჭრილ არწივისაც თვალზე კურცხალი კიღია. ტყეს ძაძა-ფლასი ჩაუტყვამს თავს მოუბურავს ბინდია... დაგვარგეთ ერის დიდება გულთამხილავი მინდია...

დ. ცხარე—ნაში.

მის პოეტურ მშვენიერებათა შეფასება ლიტერატურულ კრიტიკის საქმეა. ეს შეფასება შეიძლება გვიან მოვიდეს, მაგრამ რომ არ მოვიდეს, შეუძლებელია, მაგრამ იმის გარდა, რომ ვაჟა-ფშაველა პოეტი, იგი დიდი ეროვნული მქადაგებელი იყო და ეს გარემოებაც ისევე საჭიროებს თავის ამხსნელს, როგორც მისი პოეზია თავის კრიტიკოსს. ვაჟა-ფშაველა ხედავდა და ავადმყოფებულ საქართველოს, ხედავდა, რომ მისი სამშობლო გადაგვარების გზას ადგა, იგი ხედავდა მის პოლიტიკურ არარაობას, მის ზნე-ჩვეულებათა გადატყვას, დასასრულ იგი ხედავდა მის ავადმყოფ სულს. და ის, როგორც ერთგული მეთვალყურე, ხედავდა აგრეთვე როგორ არჩენდნენ ამ ავადმყოფს. ამ ავადმყოფ ორგანიზმის ცხოვრების ახალ ზნობასთან, ახალ კულტ. ახალ წესებთან აუღლებდნენ. ეს იყო სწორი და აუცილებელი საშუალება, დიდი ბიოლოგიური პრინციპი ცხოვრების განგრძობისა—შეუღლებვა, გადმოტანილი სოციალურ ნიადაგზედ. ცხადია ამაზედ მთლად უარის თქმა მას არ შეეძლო. მაგრამ ის ინსტიქტით მიხვდა სხვა ბიოლოგიურ დეტალის არსებობასაც. მიხვდა, რომ ცხოველთა სამეფოში არიან ისეთნი ჯიშნი, რომლებიც ცხოვრების განგრძობას თვით-განაყოფიერებითაც ახერხებენ და ვაჟა-ფშაველამაც სწელი ბოლო ქართულის ცხოვრებისა მის საღ დასაწყისისკენ მიზნიქა. საქართველოსაგან მან წურბელა შექნა, ეს ორ-სქესა არსება ერთ სხეულში, რომელსაც თითონვე უნდა გამოეღო თავისი მომავალი თავის საშობა. მან გამოსძენა თავის მშობელ მთებში ხალხი, რომლის სული საღი იყო, რომლის ზნე-ჩვეულება წმინდა ქართული იყო, რომლის მსოფლ-მხედველობა ეროვნული იყო და გვიტარა: ისწავლეთ სხვებისგან, მაგრამ ნუ დივიწყებთ ამასაც, ეს არის სისხლი სისხლთაგანი თქვენი და ხორცი ხორცთაგანი თქვენი. ქართველ ხალხის დაკარგული ხასია-

თი მან აღმოაჩინა. თავისი ტიპები მან შემოსა სიგმირით, რადგანაც პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სილაჩრის დროს ესეც საჭირო იყო და ქართულმა ზნე-ჩვეულებამ, ქართულმა მსოფლ-მხედველობამ, ქართულმა პატრიოტიზმმა ჩაჩქანში დაიწყა სიარული. მან ახალი პარიზონტები კი არ აღმოაჩინა, გაიხსენა ძველი და წინ გადაგვიშალა ეროვნული ლირებულენანი, რომლითაც სოციალობდა ერი. არხაიობა ამ ეროვნულ ლირებულენათა არ უნდა გვაშინებდეს. ვაჟა-ფშაველა ხევესურულ ფარიკობას კი არ ჰქადაგებდა, წარსულისკენ კი არ იწვევდა ხალხს, ჰქადაგებდა საკუთარ ისტორიულ ეროვნულ მე-ში თვით-ჩაფიქრებას და ჩახედვას ხალხის სულის ეროვნულად აღაზრდელათ. ის ქადაგებდა ქართულ ხასიათს, რომლის სესხება წარსულიდანაც შეიძლება, რადგანაც ეროვნული ხასიათი იმ ქვიშასა ჰგავს, რომელზედაც ნათქვამია: წყალნი წვალენ და წამოვლენ ქვიშანი დარჩებიანო. ისტორიულ ქარ-ტეხილებში და განცდებში ქართული ხასიათი შენახულად უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ეს არ მოხდა. ქართული ხასიათი გადაგვარდა და მის აღდგენის და დაბრუნების მქადაგებელი იყო ვაჟა-ფშაველა.

შევიგნეთ ჩვენ მისი ქადაგება? შევიგნეთ ჩვენ მისი მისია? მე მგონია რომ შევიგნეთ და ვაჟა-ფშაველას დაკრძალვის მწუხარე დღეს, ეს არის ყველაზედ დიდი ნუგეში. ვაჟა-ფშაველამ ისეთი თხუზულებები შეგვიჩინა, რომელთა წინააღმდეგ არავის არც ერთხელ პროტესტი არ გცნუცხადებია.

რათა? იმიტომ რომ ვაჟა-ფშაველა არასოდეს ცარიელ პატრიოტიზმს არ ქადაგებდა, იგი ნამდვილი ბრძენი იყო და მისი სული დაუშრეტელი საღარო იყო ქართველი ხალხის ცხოვრების ცოდნისა. იგი დიდი მკლანე იყო ქართულ ეტნაურ სულისა და როცა საჯაროთ გამოდიოდა, მას, როგორც მეთილისმეს, თან დაჰქონდა მთელი ხაბაკი ქართულის ცხოვრებისა. იგი საკვირველის მოხერხებით სარგებლობდა ამ პატარა ნივთებით და ჰქმნიდა შაბეჭდილებას დიდ ეროვნულ ცხოვრებისას წარსულში.

შ. ამირეჯიბი.

### უკანასკნელი სიტყვა.

ძვირფასო... დაუვიწყარო, ძმა ვაჟა! ჩვენ ხალხსა სწამს—იმ ხალხს კი არა, რომლებიც უცხო ქურქში გამოწყობილა, ან იმათ კი არა, ვისაც თავი ქვეყნის პატრონი ჰკონიათ და ამპარტავნობით თავსბრუ დასხმულნი ისე მენადურათ დაყელ-ყელავობენ, რომ მწუხარებას ქვეყნის შვილისას ვერა ხედვენ, არც იმ ხალხს, ვისაც ყველაფერი გარეგნობითავის შეუწირავთ, დაუხშვრათ თვალი გონებისა და ყური გულისა, არა! მე ვამბობ იმ ხალხის შესახებ, იმ ერის შესახებ, რომელმაც შენ გშობა, გა-

### ვაჟა-ფშაველასი

იტირე, ქართულ ეტრე იტირე შენი ზიანი; შეწყდა აღარ ჰქუხს მთა-ბარათ მკაცრი ხმა, სამართლიანი. ვინ უღარაჯოს ერთგულად დაჭრილსა არწივს ბეჩვას, ვინ შეუხვიოს წყულულები ყვა-ყორნის ვნებულს, ბედშავსა? ვინღა მოგვირთოს მთა-ბარი ყვაილთა ფერადებითა ბუნების ღმერთი ტახტზედა ვიღამ შეამკოს ქებითა. ვინ გამოკითხავს იალბუზს დღევანდელ გულის კენესასა? ვიღა დიუხედეს აფთარსა, მტერს ღ სისხლის მსმელს ჩვენსასა. იმედილი ძალი.

მოგზარდა, რომელმაც მოგცა ხელში ჩანგი ღვთიური და ჩაგიღო გული საჭირისუფლო გრძობით აღაღვე, მე ვამბობ იმ ხალხის შესახებ, რომელსაც მეტის შრომისგან ხელები დაჰპებრებია, ქელი გაღასტყავებია, ილაჯი გასწყვეტია, მაგრამ რწმენა და სასოება მომავლისა კი არ დაუკარგავს—ი, იმ ხალხს სწამს, რომ როცა დარსეული კაცი კვდება, მისი სული არასოდეს არა შორდება თავის კერას, თავის მახლობელთ... თავის სამშობლოს...

მეც შეილი ვარ იმ ხალხსა და მრწამსს, რომ შენი სული ახლა, აი ამ წუთში, თავს დაგვტრიალებს...

— გიკვირო, განა, ჩვენი ჩოჩქალი?!

— ნუ, ნუ დაგვზრახავ გეთაყვენე! ჩვენ ვსტირით ხოლმე მაშინ, როცა გვიანაა, და სხეს ვზოკო ხოლმე მაშინ, როცა სხება დაკარგული გვაქვს...

გვაპატიე სულ გრძელათ. გვაპატიე!.. ჩვენი ბაღი არ არის ჩვენი ასეთი გადაგვარება..

შენ უწყი, შენ იცი ამის მიზეზი და აკი ამიტომაც ოხრავდი ხოლმე მთასავით და ომიბდი ვეფხვითა...

ამ ჯავრმა მოგიღწია შენ, ამ ბრძოლამ გაგტეხა შენი!..

შენ ჩვენთვის მარტო დიდი მგოსანი არ იყავ, შენ ამავე დროს მხილება იყავ ჩვენის დაკნინებისა და ვით იალბუზი დარაჯათ უდქ ჩვენი გამოფხიზლების საქმეს..

დაე, ცრემლია გადაჰბანოს, გადაჰფეროს ჩვენი დაქანგული გული, დაე ოხკრა-ქვითინმა თვალიდან ბისტი გადაგვაცალოს და, როცა ქართველი კაცი ქართველურათ დაიწყებს აზროვნებას, მრწამსს, დილო მგოსანო—ფიქრი შენი იქ გვევა საქმეთ და შთამომავლობა მუბუს მოიდრეგს შენის გენიოსობის წინაშე...

სამარე შენი იქნება სალოცავთ შვილთა ჩვენთა და ტანჯვა შენი ამ ქვეყნიური, მხილუად გადაგვარებულთა უკეთურობისა...

მინამდევ კი ნუ, ნუ შეპრისხავ შენ უნცროს ძმას და მსხვერპლათ მიიღე ჩემი მწაჩე ცრემლები... ჩემი ენით გამოუთქმელი მწუხარება!

შენი ია ეკლამე.







# ახალი ამბავი.

მთავარი.

## ვაჟა-ფშაველას.

მთა კორტაის მისწავლა არწივი, მზვარავი ქვეყნის გულისა, მის გარეშე სირ ფრინველთ გლოვა აქვს დაკარგულია...

საღვთადად ბუღე ჩანგრია, მთებმა შექმნეს წანწარი, ახვარა აღმოსდა „ახსა“, ცამდე საწადომი სხვარი.

გლოვობს ქვეყანა, გლოვს მთები, ისმის საერთო ვაჟა, რომ ქვეყნის ჭირსიუფაღას მტრეველი ენა დაჟა...

დიდა, მეტად დიდა — ზვარავი ქვეყნის გულისა, მრავლად მრავალს გან ტანჯულის სამსხვერპლად მზადებულისა...

რა გვეთქმის, დიდა მგოსანო! მალამოგ ჩვენის წყლულისა, მხოლოდ მხურვალე ცრემლია საღამო ჩვენის გულისა...

როსტომ — გუდა ჩაქოვანი.

## პროვინციული გლოვა.

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო. „დაქრილი არწივის“ გულს კიდევ ერთი ლახვარი მოხდა და სისხლი თქრიალით გადმოადინა, მის ისედაც დასერილ — დაფლეთილ ღვიძლიდან მწარე გმინვა აღმოხდა, მის მწუხარებას ხედავდა მადამო და იზიარებდა რის გამო

„ნისლი დაღლილი ცურვითა მთის ყურედ მიმალულიყვენ, მონი მალაით დასტერდენ, ღრმა ფიქრით შებურულიყვენ, არავიცი ჩემით მისჩქედდა, თვით ცრემლსა ცრემლი სლიოდა, ცაზე გამქრალან ვარსკვლავნი პირი ემანჭვის მთვარესა. მთანი თავ ჩაქინანებნი ფიქრს მისცემიან მწარესა“.

ყოველივე ამას ჩიონმა და მტკვარმაც თავიანთი გულჩათხრობილი, ქუნვით სავეს დუღუნი საერთო ვინა და მწუხარებას გადააკვანძეს. მთელი ქვეყანა სევდამ მოიცვა.

ისინი დასტიროდენ და გულ ამოსკვნით მოსთქვამდენ „დაქრილი არწივის“ ახალ იარას: — „მთის არწივის“ ვაჟა-ფშაველას უდროით დაკარგვის გამო გამოწვეულს.

ისედაც შავი ძაძებით შესუღრულ საქართველოს შვილთ კვლავ მოველინა რისხვა ზეციით წარმოგზავნილი, გაიმის გლოვის ხარი, რომლის გულსაკოვ შემძირწუნებელ გუგუნში ირევა მოთქმა — ტირილი: მოკვდა ის, რომელიც მთელის თავის ძალ-ღონით „დაქრილი არწივის“ — ბედკრულს საქართველოს, მალამოს ადებდა წლულს უამებდა, — ისმის გოდება: — მოგვშორდა იგი, ვინც ჩვენს გრძობებს აცისკროვნებდა და სულიერ საღაროს „ახალი სული ჩაუდგა, ახალი ხორცი აუბა“, ამ რიგათ ხალხს და მწერლობას შორის ხიდი გადავა, შეაკავშირა, ისინი ვაჟამ აზიარა მწერლობის წმინდა ემბაზიდან და მისი მეოხებით ხალხს

„გულის ხედა და თვლების როგორც ბნინა და ყრუს ვახსნა; ესმის დღეიდან ყოველი რასაც ფრინველი გალობენ,

ან მცენარენი, ცხოველნი როდის ილხენენ, წვლობენ, რაც კი რამ დაუბადია უფალს სულიერ უსულო, ყველას თურმე ენა აქვს არა ყოფილა უსჯულო“

ესრც არ იკმარა, მან გააცნო ხალხს დაწერილებით მის სათაყვანებლო „დაქრილი არწივის“ — ბედ-წავე სამშობლოს ლუბანელი მღვთმარეობა. გააგებია ყველას, რომ „დაქრილი არწივი“ — ღონემ ხდილია, მძიმე ქრილობისგან ძლივს სუნთქავს, თუმცა მას ამდროსაც კი იარაღი არ დუაყრია, სცდილობს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე თავი დაიცვას, იგი როგორც ძველთა, ისე ახლაც სცდილობს თავის განკურნებას და ყვავ ყურნების თავიდან მოცილებას. მან ნახა „დაქრილი არწივი“. რომელიც ყვავ ყურნებს ეომებოდა ეწადა ბეზღს ადგომა, მაგრამ ვეღარა დგებოდა ცალს მხარს მიწაზე მიათრევს გულის პირს სისხლი სცებოდა“.

ვაჟამ ეს ყოველივე თავისი თვალთ ნახა, ჩაუვირდა და „დაქრილი არწივის“ მდგომარეობა განიცადა პოეტურათ, და დახმარება სცო საჭიროთ, რასაც თავისი ბუმბერაზი ნიჭი, მკვეთრი კალამი და დაუშრეტელი ენერჯია გულ უხვათ, დაუზარებლათ მოახმარა. მას ანაცვალა თავისი „მე“, თავისი პირადი ბედნიერება. მას ვერ აშინებდა გაქვრება მისთვის არ არსებობდა უძლიერი დაბრკოლება და ამ რიგათ მტლათ ედებოდა მას და მზათ იყო „დაქრილი არწივის“ სამსხვერპლოთ თავი გაეწირა.

მან ასწავლა ხალხს მამულის სამსახური, მან ჩავაგონა ხალხს სამშობლოს ქრისთფლობა, შეაყვარა ის თავდადებული გმარები, — „რომ არ წაიღეს საფლავნი ლაფათ მოსვრილი პირები“

და თავიანთი მოვალეობა ქვეყნისა და ქრის წინაშე პარნათლათ შეასრულეს. ეგრეც ცოტა ეწვენა ვაჟას: იგი განშორდა ქალაქის ფუფუნებით ცხოვრებას, მიატოვა აუარებელი თაყვანის მცემლობა ეფნდი და მიაშურა „მთას, რომლის შვილთა გამოფხიზლება თავს იდვა“. ეს მოვალეობაც მან პირნათლათ შეასრულა, რაც მთიულთა ცხოვრების მატინგში ამოუღლები იქნება. ვაჟას სახე მთიულთა ხატია, რომელზეც უნდა ლოცულობდეს მათი ყოველი შეგნებული პირი, და განაზარტო მთიული? არამედ მთელი საქართველო, მთელი ქართველი ერი, რომლის გულის მესაიდუმლოთ და ქირ-ვარამის გამომხატველათ დიდს ილიასა და დიდს აკაკის შემდეგ ის იყო.

კიდევ ბევრი რამ ვააკეთა ვაჟამ, რომლის ესე ხელ და ხელ აღნუსხვა შეუძლებელია და ღრმობა გვწამს უფრო მეტსაც ვააკეთებდა რომ უწყალო სიკვდილის ბასრ ცელს მისთვის სიცოცხლე არ მოეწირათა...

აი ვინ დაკარგა ბედშეგმა ერმა. ვაჟასთანა პირები ერის ცხოვრებაში იშვიათი მოვლენაა და ამიტომ სამართლიანია ქართველი ერის გულამოსკვნილი გოდება, კანონიერია მისი საყვედური უწყალო ბედისაღ-

მი, რომელმაც ესდენი უმადურობა არ გვაქარა და „მთის არწივი“ ვაჟაც ხელიდან გამოავლოჯა და ქილუას მიუგდო მისი გაციებული გვამი საჯჯნათ.

დაე, იტირეთ სამშობლოს ქრისთფალნო, ერთგულის შვილის დაკარგვა, დეე, აცრემლდი სამშობლოს ყოველი მხარე შენი მედგარი დამცველის განშორების გამო. გადმოანთხიე „დაქრილი არწივი“, დაკოდლი გულდან მდღარე სისხლი და შენი შვილთა ცრემლებს შეუერთე, ერთგული შვილის, უებარი მკურნალის ვაჟა ფშაველას საპკურებლათ.

და თქვენს საერთო გოდებას, საერთო გლოვას მეც „სოცხალთა საფლავის“ ბნელ საკანიდან გულის კენესას და ცხარე ცრემლებს ვუერთებ. სერ. გერსამია.

ქ. სატუსალო 31 ივლისი.

## ო პ ი

(პეტ. დებ. სააგენტოსაგან)

### კავასიის ასპარაჟი.

პეტროგრადი. 30 ივლ. ოფიციალური კავასიის ჯარს შტაბისაგან. 28 ივლისის განმავლობაში პასინის ველზე ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიპყრო დიდმნიშვნელოვანი მალლობი, ოსმალები დასავლეთისაკენ განდევნეს, ამასთანავე დავტყვევეთ ბატალიონის უფროსი 2 აფიცერი და 100 ასკრი. ეფრატის მიმართულებით ოსმალების დევნა გრძელდება, დაეცევივით 200 ასკერი, დანარჩენ პარტე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

### ალმოსავლეთის ასპარაჟი.

პეტროგრადა. 31 ივლ. ოფიც. მთავარ სარდლის შტაბისაგან. მიტავის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა უკუაქცია გერმანელები მდ. ას იქ. იაკობშტატის, დინსკის და ვლკომირის მიმართულებით ჩვენ განვაგრძობთ მტრის შევიწროებას. კონოს რაიონში გერმანელთა იერიშები ჯერჯერობით შესწყდა. არტილერიის სროლა გრძელდება. ნარევისა და ბუჯის შუა ჩვენი კონტრიერიშის საშუალებით 29 ივლ. ჩვენმა ჯარმა გაიადვილა ნაჩვენებ ადგილებსაკენ უკან დახევა შუა ვისლაზე ჩვენ დავსტრევით სოკოლოვი, სედლეცი და ლოუკოვი. საზოგადოთ ბუჯის მარცხენა ნაპირის ფრონტზე 30 ივლ. დიდი ბრძოლა არ ყოფილა. ბუჯის მარჯვენა ნაპირზე, ზოლ. ლიბაზე და დნესტრზე ცვლილება არ მომხდარა.

### დასავლეთის ასპარაჟი.

პარაზი. 30 ივლისი ოფიციალური. 30 ივლისის საღამოს საარტილერიო ბრძოლა დაიწყო სუჟეს, ნევილის, დაარგონის ირგვლივ ახალი კონტრიერიშით; ჩვენ ისევ დავიტირეთ ჩვენი თხრილების დაკარგული ნაწილები დასავლეთით ვინარვილის გზისკენ. ძლიერი არტილერიის შეტაკება ხდება ვივრის ჩრდილოეთით.

ლუბრეტრის ტყეში, ვოგეზებში და

არენკოვში შეტევა სწორედ პეტროგრადად მიმართულია. მზვარავი ქვეყნის გულისა, მის გარეშე სირ ფრინველთ გლოვა აქვს დაკარგულია...

### პატრიარქის გაუქმება.

ს. ლუნი. კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან, რომ კაბინეტის უწყვეტ ლესობამ გადაწყვიტა გააუქმოს ბერძენთა პატრიარქი კონსტანტინეპოლში, ანტიოქიაში და იერუსალიმში. სწავლა განათლების მინისტრმა მსოფლიო პატრიარქს განუცხადა, რომ ბერძენული სკოლები დღემდე პატრიარქატის ხელში მყოფი გადავა სწავლა განათლების მინისტროს ხელში.

### გამის ჩამიკვა.

ლონდონი. 29 ივლისი. ნორვეგიელთა გემი „გერა“ ააფეთქეს, მეზღვაური გადაარჩინეს.

### სტოპლომი.

29 ივლისი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ გერმანელების მოქმედება რიგის ყურეში დასაზვერავი ხაზითა იყო. დილუა ორი ტრალერი.

### სომხთა პატრიარქის შეურაცხება.

სოლუნი. 29 ივლ. პორტაში გამოცხადდა სომხთა პატრიარქი, რომ პროტესტი გამოეცხადებია მთავრობისათვის სომხების ამოყოფის გამო. პატრიარქი პორტდან გამოავდეს და შენიშვნა მისცეს, რომ ოსმალების შინაურ საქმეებში არ ჩარეულიყო.

### გამების ჩამიკვა.

ლონდონი. 29 ივლისი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ პატრიარქი პორტაში გემი „გერა“ ააფეთქეს, მეზღვაური გადაარჩინეს. მეტეორი შეშინა, ნგლისის კრეიფების ეკლარა. გერმანელების გემის უფროსმა დანიხა, რომ გადაარჩენა არ შეეძლო, ამიტომ მეზღვაურებს უბრძანა გემის დატოვება, შემდეგ კი კრეისერი ააფეთქა.

კოპენჰაგენი. 29 ივლისი. გერმანელების წყალქვეშა ნაგებმა დილთა დანიის სატერიტორია წყლებს გარედ გააჩრეს ორი გემი „ტელლიუსი“ — სტოპლომიდან და „მელსტალი“ ქრისტიანიდან, საღამოთი ორივე გემს ებრძანა სამხრეთის მიმართულებით წავლა, მათ დარაჯათ გაჰყვა გერმანელთა სადარაჯო გემი.

ლონდონი 30 ივლისი. გერმანელთა წყალქვეშა ნაგებმა დალუპეს შემდეგი გემები: მეთევზეთა გემი „უტოპია“, ინგლისელთა გემი „სკვუდი“, ნორვეგიელთა ბარკა „მორანა“, მეთევზეთა გემები: „იუნგი“, „ადირალი“, „ჯორჯ კრებული“, „ილიუსტრუსი“, „სალმა“, „ტრევირი“, და „ვილკოლში“, მეზღვაური გადაარჩინეს.

### სათათირო.

პეტროგრადა. 30 ივლისი. საათათიროს ხვლინდელი სხდომა გადაიდგვა შპათისათვის.

### თბილისის უზამდომლობა.

თბილისი. 30 ივლისი. თბილისის სამხედრო სამრეწველო კომიტეტის შეამდგომლობს თბილისში გადმოიტანონ რიგის პოლიტექნიკუმი.

### რედ-გამომც. ი. თ. ცინცაძე